წელიწადი 1-ლი № 27
ხუთშაბათი 19 ოქტომბერი 1917

რედაქტორი: პატო მიქელაძე
გამომცემელი ქალთა კლუბი

რედაქციისაგან.
კანტორა ღია დილის 9 საათ. 3 საათამდე
ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი პუშკინის ქ., № 12, სახლი მეიშვილისა შესახვლელი ჭიშკრიდან ეზოში.

ხმა ქართველი ქალისა

ფასი 15 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 15 კ.

ქალებო, ემზადეთ დამფუძნ. კრებისათვის!

ამხანაგებისა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ.

ამხანაგებო, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ თქვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე გაზეთია. მის განსამტკიცებლათ და გასავრცელებლათ საჭიროა თქვენი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მოგვეხმარეთ ფულით და კალმით, მოგვაწოდეთ კორესპონდენციები და ლიტერატურული, თუ მეცნიერული მომენტისა და მიზნის შესაფერი წერილები! მოაწყვეთ დაბა ქალაქებში აგენტურა გაზეთის გასავრცელებლათ.

რედაქცია

არ შეიძლება დუმილი!

სრულიად რუსეთის ქალთა სწორუფლიანობის ლიგა.

ყველას! ყველას! ყველას!

ქალებო რუსეთისაო, ხმა ამოიღეთ! უმძიმეს სევდიან საათში სასიკვდილო მწუხარებისას, როცა სამშობლოს ტკეპნის მტერი და ლუკმა ლუკმა სწეწენ თავიანთი შვილები, როცა მოტყუებულნი, მოწამლულნი, ანუ მოსყიდულნი პირფერობითა და ფულით ხალხი კლავს თავიანთ ძმებს, ჩვენ ქალები არ უნდა ვსდუმდეთ.

რა უყვეს თავისუფლებას? რა დარჩა მისგან გარდა მხეცური თვით-ნებობისა, გარდა თავ-შეუკავებელ ძალადობისა და სად არის ჩვენი სიხარული, ჩვენი სიამაყე რევოლიუციით? სად არის ის დიდი რუსეთი, რომელმაც მოუვლინა მსოფლიოს რაინდული კეთილშობილი მაგალითი, ჭეშმარიტად დიდი რევოლიუციისა? ყველაფერი დაიხრჩვა ცრემთა მორევში, მხეცურ სიხელეში უმდაბლესი ვნებიანობისა. სად არიან და რას შვებიან ისენი, რომელთაც არ აშინებდათ თავისუფლებისათვის ციხეში ჩალპობა, ან მისი რომ ჰყოფილიყვნენ დახვრეტილნი ტყვიით? რათ აშინებს მათ სამშობლოსათვის თავის განწირვა, როცა მის თავისუფლებას საშიშროება ემუქრება? სად არიან ისენი, ვინც მუშებთან და ჯარის კაცებთან ერთად იცავდა თავისუფლებას, ის ინტელიგენცია, რომელიც მრავალ წლობით ემსახურებოდა მას, იბძოდა და კვდებოდა მისთვის? და ყველაზე უფრო შემზარავი, ყველაზე უფრო საშიშარია — როგორ შეუძლიათ მათ, ვინც იცავდა თავისუფლებას — არა მარტო თავისთვის, არამედ ყველასათვის ასწიოს ხელი თავის ღვიძლ ძმაზე, და დაისვაროს მის უცოდველ სისხლში?

იმ აფიცრებს რომელთაც კლავენ, ხვრეტენ, ხიდიდან წყალში ისვრიან, და ყრიან დასაძირავათ გამზადებულ გემზე, როცა თვით თავსა შველიან ხომ ამ აფიცრებსაც ჰყავთ დედები, ცოლები და დები? როგორი ტანჯვით კვნესის რუსეთის მიწა, სისხლის ცრემლები ახრჩობს რუსის ქალს აუტანელმწუხარებიდან, რომელიც ლოდივით გადასწოლია მის გულს. ათი ათასობით ქალები სატახტო ქალაქებისა და პროვინციებისა დღე და ღამე სტირიან და კანკალებენ თავიანთ მახლობელთა ხვედრზე, რომელიც იარაღ-აყრილნი სრულიად მიცემულია გონება დაკარგულ, გალოთებულ და გამხეცებულ ბრბოს უფლებაში. როგორი გულით უნდა გაბრუნდებს სახლში კაენი? როგორი სინდისით უნდა მივიდეს ის მოხუცებულ დედასთან, ცოლთან და შვილებთან, როცა იცის, რომ მან დააობლა სხვა შვილები-და სხვა დედა? და განა გონს მოსული, როცა დაინახავს თავის ცოდვას ის თავის თავს აპატიებს? ჰო არა! ჩვენ გვრწამს-რუსის სული ვერ აიტანს უცოდველს სისხლს, რუსის სინდისი გაიღვიძებს და მოითხოვს საერთო სახალხო შენანებას ძმის მკვლელობის ცოდვისათვის. და სინიდისის სასჯელი კი უსასტიკესია სასამართლოს სასჯელზე.

ქალებს ორგანულად სძულს ომი. მათ სურთ ზავი, მაგრამ ყველაზე უწინ მათ სურთ ზავი თავისიანებში

ჩვენ გვსურს ჯარის კაცის პატივისცემა, ჩვენ გულსა გვტკენს მისდამი ზიზღისა და სიძულვის გამოცხადება. დავიბრუნეთ ჩვენ დიდი რუსეთი, დავიბრუნეთ სიხარული თავისუფლებაზე და რწმენა თავისუფლების დაცვისა. სამართლიანი გულის წყრომით მოიშორეთ ისენი, ვინაც ცრუ სიტყვებით და დაპირებით გამხედრებს თქვენ თქვენს ძმებზე! ალსდექ და გამოფხიზლდი ხალხო რუსეთისაო და რუსის ვაჟკაცნო! მტერი ჭიშკართანაა. კიდევ ერთი თვე ასეთი ნგრევისა და პეტროგრადსაც ის მოელის რაც რიგასა ვილნას და ვარშავას.

თვალი აღალეთ, გამოფხიზლდით, გაიგეთ, რომ ასეთი ნგრევით თქვენ ვერ დაიფარავთ რუსეთს. გამოისყიდეთ ძმათა მკვლელობა სამშობლოს დაცვის სიგმირით.

რუსის ქალებო, ხმა ამოიღეთ! გაიგონეთ ჩვენი მოწოდება. იყვირეთ მოითხოვეთ დაიჟინეთ, ფიცი, ფიცი მოთხოვეთ მამაკაცებს, რომ გონს მოვლენ.

უთხარით მათ, რომ ვერც ერთი რუსის ქალი ვერ იპოვნის სალამს ძმის მკვლელისათვის, ღვიძლი დედა მას ზურგს შეაქცევს და შვილები ტირილით გაიქცევიან ძმის სისხლში ხელ დასვრილ მამიდან. ჯარის კაცთა ცოლებო, უშველეთ სამშობლოს, შთააგონეთ — უთხარით მათ, რომ თქვენ ხელსა კრავათ მათ თუ ისენი არ დაიცავენ სამშობლოს.

დიდი სირცხვილი და სევდა ჩამოეშვა რუსეთის თავზე და რუსის ქალები არ უნდა სდუმდენ.

ჩვენ ვთხოვთ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა სატახტო და პროვინციის გაზეთმა გადაბეჭდოს ეს მოწოდება, რომ მან მიახწიოს ყველა რუსის ქალებამდე.

ჩვენ გვრწამს რუსის ქალების გამოხმაურება. და თავიანთი ძლევამოსილი სიტყვით შეიძლება შეაკავონ გონება-დაბნეული ხალხი, რომელნიც თავაღებულნი მიდიან უფსკრულისაკენ და მისკენ მიაქანებენ სამშობლოსაც.

ქალი და დამფუძნებელი კრება.

მოახლოვდა დრო არჩევნებისა დამფუძნებელ კრებაში; ყველა პარტიები და საზოგადო ძალები ამოძრავდა, რათა თავის თანამოაზრე გაიყვანოს და ამით დაიმტკიცოს ის უფლებები, რომელნიც რევოლიუციამ მიანიჭათ. ჩვენ ქალებმა მივიღეთ თანასწორი უფლება მამაკაცთან, ამასაც უნდა განმტკიცება დამფუძნებელ კრებაში.

ქალაქის არჩევნების დროს ჩვენ არა მეგობრულათ მოგვეპყრენ პარტიები იმით, რომ სიის ბოლოში მოგვათავსეს. ეს ძალიან საგულისხმოა, ამის გამოსწორება კიდო შეიძლება მერმისთვის, მაგრამ თუ დამფუძნებელ კრებაზედ ვერ გავგზავნეთ ჩვენი დელეგატები, სადაც საუკუნოთ ჩაეყრება საძირკველი ჩვენ უფლებებს, ამის გასწორება ნებით არაოდეს არ შეიძლება და მომავალი თაობა ამას არ მოგვიტოვებს.

რა საჭიროა, რომ ქალები უთუოდ გავგზავნოთ? იკითხავს ზოგი. ერთი, რომ სადაც ქალის და კაცის ინტერესი ერთმანეთს უპირდაპირდება, იქ ქალის ინტერესი მარცხდება. მაგალითად მემკვიდრეობაში და და ძმა სრული გათანასწორებული არ არიან. არ არის დაწვრილებით გამორკვეული და დამტკიცებული კანონი, რომ საჭიროა ხელმეორეთ გადახედვა და შესწორება მემკვიდრეობის კანონისა.

ოჯახში — ცოლს და ქმარს ერთი უფლება არა აქვთ: მთელი ოჯახის მძიმე საქმეს ცოლი უძღვება, ამავე დროს, მის შრომას ფასი არ აქვს, შვილებზეც ნაკლები უფლება აქვს, თვითონაც ნივთიერათ ქმარზედ არის დამოკიდებული. ჩვენს მამაკაცებს არ უყვართ [illegible] კიდეც ეთაკილებათ, რომ მათი ცოლები სამსახურში იყვნენ და ოჯახს ეხმარებოდეს. რუსები კი წინააღმდეგ ამისა ძალიან ამაყობენ, როცა მათ ცოლები ეხმარებიან, ამიტომაა, რომ რუსის ქალები ბევრს შემთხვევაში ნივთიერათ დამოუკიდებულია მამაკაცზე, და ეს დამოუკიდებლობა საფუძველია მათი თავისუფლებისა.

სამართალში — როდესაც ქალის და კაცის საჩივარია სქესობრივ დამოკიდებულების მხრივ, ყველაზედ მწვავეთ აქ არის ერთი მეორეს ინტერესი დაპირდაპირებული და ამავე დროს მსაჯულები თუნდაც ნაფიცნი იყვენ ყველა მამაკაცისგან შესდგება, და რასაკვირველია, სასწორი მათკენ იხრის და ქალი მტყუანი რჩება.

30 ენკენისთვეს გამოვიდა ახალი კანონი, რომლის ძალით ყოველ რუსეთის მოქალაქეს, რომელმაც იცის რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა, წლოვანებით 25 წლის არა ნაკლებ — (მამაკაცს) ნება აქვს არჩეულ იქმნეს ნაფიცს მსაჯულათ ორი წლის ვადით.

რაც უნდა პატიოსანი იყოს მსაჯული მამაკაცი და ძლიერ მცოდნეც, ის ვერაოდეს ვერ მიხვდება და ვერ

გაიგებს იმ რთულს პსიხოლოგიურ განცდას, რასაც მშობელი დედა გამოივლის, როდესაც მის მშობლიურ გრძნობას, ან უფლებებს სთელავენ, ან როდესაც ქალი თავის პატიოსნების დასაცველად მკვლელობასაც სჩადის.

ამიტომ საჭიროა, რომ ნაფიცი მსაჯულები ქალებიც იყვენ.

მეორე მხრივ არის იმისთანა კითხვები, სადაც ქალის მონაწილეობა აუცილებელი საჭიროა: მილიტარიზმში.—ყველა ეხლა ამას იძახის ქალებს, რომ კანონმდებლობაში ქონოდათ მონაწილეობა, ომის ნებას არავის მისცემდათ. ინგლისის მწერალი ქალი ოლივერ შნეიერი ამბობს: „მე არ ვიცი კაცობრიობის გაჩენის ისტორია, მაგრამ კაცის გაჩენის ისტორია ვიცი, რადგან მე ვშობე იგი ტანჯვა-წვალებით, ამიტომაც მე თვითონ ჩემ შვილს სასაკლაოზე არ გავგზავნიდი“. ამას გრძნობს და ფიქრობს ყველა მშობელი დედა და ამ თვალსაზრისით გადაწყვეტს კითხვას.

არის იმისთანა ბოროტება, რომელიც ძირს უთხრის კაცობრიობას და დალუპვას უქადის: ეს პროსტიტუცია და ლოთობა და მათი პირმშო სიფილისი. ავტონომიურ ავსტრალიაში მუშები ძლიერ ცდილობდენ, რომ ზემოხსენებულ სენის წინაღმდეგ საბრძოლველი კანონი გაეყვანათ, მაგრამ ვერ შესძლეს, სანამ ქალები არ დაუშვეს კანონმდებლობაში.

იტყვიან, ქალები მოუმზადებელი არიან და დამფუძნებელ კრებაში რა უნდა გააკეთონ. მე ამაზედ ვუპასუხებ, რომ არც ერთ პარტიაში არ არის იმდენი მომზადებული პირები, როგორც კადეტებში, მაგრამ ხალხი არაოდეს არ გაგზავნის მათ თავის ინტერესების დასაცავათ. მუშები ისევე მუშებს გაგზავნიან, გლეხები ისევე—გლეხს, რომელნიც ნაკლებ მომზადებული იქნებიან, მაგრამ თავგანწირულათ დაიცავენ თავის ინტერესს. თვითონ ბებელი ამბობს: (**женщина и соціализмъ**) როგორც მუშა თავის ინტერესის დაცვას ბურჟუას არ ანდობს, ისთე ქალმა თავის ინტერესის დაცვა მამაკაცს არ უნდა მიანდოს“.

ქალების გაგზავნა საჭიროა არა თუ თავის ინტერესის დაცვისთვის, არამედ ზემოხსენებულ საჭირბოროტო კითხვების გადაწყვეტისთვის.

იმ ქვეყნებში, სადაც ქალები იღებენ მონაწილეობას კანონმდებლობაში (ავსტრალია, ზელანდია, ნორვეგია) დიდი სარგებლობა მოუტანეს მუშათა საკითხის გადაჭრას, ბავშების აღზრდას, დიდი ბრძოლა გაუწიეს ყოველგვარ უზნეობას, შეამცირეს ლოთობა, უზრუნველყვეს სიბერე. ჩვენ მოვითხოვ, რომ ყოველ პარტიამ, ვინც სცნობს ქალთა თანასწორობას საქმით და არა სიტყვით გაიყვანოს ქალები, თითეულმა არა ნაკლებ სამისა. ჩვენც იმ პარტიებისთვის ვეცდებით, რომელსაც ჩვენდამი გულწრფელ თანაგრძნობას შევატყობთ.

პირველი სუფრაჟისტკა.

ქალები ნაფიც მსაჯულთა კრებიდან გამორიცხეს.

აღიარებული ქალთა სწორ-უფლიანობა სამხედრო დიქტატურის ზრდასთან, ერთად რომ განსაცდელში ვარდებოდა ამას ჩვენ ერთობ კარგათ ვგრძნობდით.

მაგრამ, თუ რომ ასეთს მოცემია წართმევიას როლს ითამაშებდა რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც ყოველი უსამართლოებისა და ძალმომრეობის აღმოსაფხვრელად ამდენს ჰქა-ქუხილშია და გუშინდელს მონაცემ უფლებას, დღეს ქალებს უკანვე გამოსტაცებდა, ამას კი არ ვფიქრობდი.

ჩვენ ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიუროს წევრები ვუერთებთ რა ჩვენს ხმას რუსეთის ქალთა სწორ-უფლიანობის ლიგის სამართლიანს პროტესტს და საერთო კავკასიის ქალთა საზოგადოებისას თანაც ვაცხადებთ ზიზღსა და აღშფოთებას ასეთი ურცხვი უზურპატორობის წინაღმდეგ.

რუსის ქალებს, რომელთაც ამდენი ღვაწლი მიუძღვით განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იმ ქალებს, რომლებმაც თავიანთ მამაკაცებზე მეტად შეიგნეს სამშობლოს განსაცდელი და მისდა საშველად თვით იარაღით ხელში გავიდენ ბრძოლის ველზე და მსხვერპლად შეეწირენ მას, მოსალოდნელი იყო, რომ უფრო მეტი პატივით მოექცეოდენ. მთავრობა, რომელიც გუშინ ქალთა სიგმირეს ბრძოლის ველზე უსასტიკეს მტერთან ბრძოლაში ოფიციალურად ადასტურებდა და აყენებდა „**выше всякой похвалы**“, იგივე მთავრობა დღეს მათ ნაფიც ვექილთა საკრებულოდან რიცხავს და მათში საიმისო ნიჭსა და უნარს არ ხედავს. მერმეთ რომელი მთავრობა აკეთებს ასეთს უტიფარს ტურნეს? მთავრობა არა ნიკოლოზ მეორისა, არა მილიუკოვისა, არამედ ის მთავრობა, რომელშიაც სხვა და სხვა ფრაქციის სოციალისტები მინისტრობენ და თავმჯდომარეობენ.

ნუ თუ ეხლაც [illegible] პარტიული თუთიყუშებმა, რომ მამაკაცების დაპირებული სწორუფლიანობა ყინულზე დაწერილია? დეე, ამ ყოვლად აღმაშფოთებელმა ფაქტმა მაინც იმოქმედოს ჩვენი ქალების იმ ნაწილზე, რომელიც ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში სამოვრის თუხთუხით იხდიან თავიანთ მოქალაქურ მოვალეობას.

ძირს ფილანტროპკები! და გაუმარჯოს ადამიანური უფლებისათვის თავგანწირულს მებრძოლ ქალებს!

ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის
აღმასრულებელი ბიურო.

სასაფლაოზე.

დიდხანს სტიროდა ცივ საფლავზე გარდახვეული
მიწას ათბობდა მწველი გრძნობის ცრემლისა ღვარი.
ვინ შევიბრალო: ადრე საფლავს ჩასვენებული?
თუ ეგ ცოცხალი, ვინაც ეგრე ტანჯული არი?!

— —

ვით ვანუგეშო, არ ნებდება ენას სიტყვები,
როს გულ მიმძიმებს ბნელი ფიქრი სხვა და სხვა გვარი.
შავმა სიკვდილმა გაუქარწყლა მას იმედები
და გამოსტაცა ერთად ერთი ტკბილ მეგობარი.

— —

დიდხანს დასჭერდა ამაღლებულს ძვირფას სამარეს,
სევდამ მის ნორჩს გულს კბენით ფრთები გადააფარა

დეკაბრისტების პროცესი.

სიკვდილით დასჯა.

იმ დეკაბრისტების დასჯა, რომელთაც სამოქალაქო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, სისრულეში მოყვანილი იყო 13 ივლისს. იდგა მშვიდი სინათლიანი პეტერბურგის თეთრი ღამე. პეტრე-პავლეს სიმაგრეში შემოვიდა ხუთი პოლიციელი, რომელნიც უნდა დასწრებოდენ დასჯას. საღამოს 10 საათზე მოვიდა დეკანოზი ყაზანის სობოროსა პეტრე ნიკოლოზის ძე მისლოვსკი, რომელიც მოწვეული იყო აღსარებისათვის და სასიკვდილოთ განწესებულთა დარიგებისათვის. მან მოიტანა წმინდა ნაწილები. მღვდელი ტიროდა.

ბესტუჟევმა, რილეევმა და მურავიოვმა აღსარება მიიღეს და დიდხანს ელაპარაკეს მას. პესტელთან მოვიდა პასტორი. მამა მისლოვსკის უნდოდა მისი მოძღვრობა, მაგრამ პესტელმა უარი განუცხადა. კახოვსკოი უფრო იძულებით ასრულებდა ამ უკანასკნელ მოვალეობას, ვიდრე გულწრფელად. რილეევმა გარდასცა ჯვარი და მედალიონი მღვდელს თხოვნით, რომ გარდაეცა ის, უბედური ცოლისათვის და თავის ქალიშვილისათვის.

შუაღამისას ჩამოვიდენ სიმაგრეში მმართველნი პირნი: პ. ე. კუტუზოვი, გენერალ-გუბერნატორი, ჟანდარმთა შეფი ბენკენდორფი, პოლიცმეისტერი და სხვა. შეუდგენ მზადებას. გამოირკვა, რომ ამ დროსათვის ვერ მოასწრეს სიმაგრეში ჩამოტანა ეშაფოტისა და სახრჩობელასი. გენერალ-გუბერნატორი განრისხებული მოთმინებიდან გამოვიდა. ბოლოს მოიტანეს საჭირო აქსესუარი. სახრჩობელა გააკეთეს არქიტექტორი გერნეის ხელმძღვანელობით. დიდს ხანს მოუნდენ მის დაწყობას.

დილის 4 საათზე ალექსეევის რაველინში შევიდა პოლიცმეისტერი ტიხაჩევი ხუთი პოლიციის აფიცრებითა და 12 პავლეს პოლკის შეიარაღებული ჯარის-კაცებით. გააღეს ციხის კარები და ტუსაღებს დაუძახეს: „გამობრძანდით, ბატონებო!“ ისენი უკვე მზათ იყვნენ და გამოვიდნენ კარიდორში. ხელები და ფეხები ისე გაუკრეს მათ, რომ ხელები ტანის სიგრძესთან ჰქონდათ ჩამოშვებული და ფეხებით კი მათ შეეძლოთ უმცირესი ნაბიჯის გადადგმა. ტყვეებმა გაუწოდეს ერთი-მეორეს ხელი და მაგრათ ჩამოართვეს. ზოგიერთებმა გადაკოცნეს ერთმანეთი. ყველანი საკვირველი სიმშვიდით შეხვდენ ჯალათს. დაიძრა პროცესია. წინ მიდიოდა ვზვოდის კომანდირი პავლოვსკის პოლკის, ოფიცერი პორუჩიკი ტილმანი, მის უკან ხუთი პოლიციელი შიშველი ხმლებით. შემდეგ დეკაბრისტები. მათ უკან 12 ჯარის კაცი და ორი ჯალათი, პროცესიას ათვალიერებდა პოლკოვნიკი ტიხაჩევი, რომელიც გვერდით მოყვებოდა. პროცესია ნელათ მიდიოდა ოდნავ ნაბიჯ გადადგმით, რადგან დასასჯელნი ისე შეკრული იყვნენ, რომ ძლივს ფეხს აბიჯებდენ. გაიარეს ხიდი და გაუდგენ იმ ადგილისაკენ, სადაც იდგა ორი ეშაფოტი და სახრჩობელა.

სახრჩობელასთან იდგენ სხვა განწესებულნიც და სამხედრო ოტრიადი: ტიხაჩევმა წაიკითხა სასამართლოს განაჩენი. ჯალათმა მოგლიჯა მათ მუნდირს ეპოლეტები, გადაამტვრია თავზე ხმლები და ჩააცვა ტუსაღის კაბა.

მზე ამოდიოდა. მაღლობზე პავლოვსკის პოლკის მუზიკა უკრავდა, რომელიც ყოველგვარ სამხიარულო მოტივებს ასრულებდა. განაჩენი ჯერ წაუკითხეს მათ, ვინც არ იყვნენ სიკვდილ მისჯილი და დააბრუნეს უკანვე სიმაგრეში. დარჩენ მარტო სიკვდილით სასჯელ მისჯილნი. ისენი ისხდნენ მიწაზე და ჩუმათ ერთმანეთს ელაპარაკებოდენ. დადგა უკანასკნელი საათი. მათთან მოვიდა მისლოვსკი და მიაწოდა ჯვარი სამთხვევათ. ისენი დაჩოქილნი ჩუმათ ევედრებოდენ ღმერთს და ცას შეყურებდენ. შემდეგ მათ ჩამოაცვეს ტომრები, რომელშიაც თავიდან ფეხებამდე იმალებოდენ. კისერზე ბაწრით მიაბეს დაფა, რომელზედაც ეწერა მათი სახელი და დანაშაული. ჯალათმა მათ ხელი უფრო მაგრათ გაუკრა, ისე რომ მათ არ შეეძლოთ მისი აწევა. როცა ყველაფერი მოამზადეს ტიხაჩოვმა ბრძანა წაყვანა. გზას გაუდგენ, ჯარის-კაცები უკან მიყვებოდენ და ანიშნებდენ, თუ საით უნდა წასულიყვნენ. მუზიკა უკრავდა სამხიარულო მარშს.

ამ გვარად მიიყვანეს ისენი სახრჩობელასთან. როცა ტყვეები თავის ადგილს დააყენეს ყველანი ჩამოვიდენ ეშაფოტიდან. დეკაბრისტებს კისერზე გაუკეთეს მარყუჟი და ფეხიდან გამოაცალეს ის რაზედაც იდგენ...

ტანი ჩამოეშვა, დაიძრა და აფართქალდა... სამი მათგანი ჩამოვარდა და დაეცა ძირს. მხოლოდ პესტელი და კახოვსკოი დარჩა ბაწარზე. კუტუზოვმა ჯერ გამოგზავნა ადიუტანტი და შემდეგ თვითონ მოვიდა, დაიწყო ყვირილი და გინება:

„რა არის ეს“?!!

— დახრჩობაც არ იცით! — უპასუხა ერთმა ჩამოვარდნილმა.

ხელახლა ჩამოაცვეს მარყუჟი. ერთი მათგანი კვნესოდა, ისე მძიმეთ იყო დაცემული. ჩამოახრჩვეს.

როცა დასჯილნი ჩამოიღეს ხალხმა თავი მოიყარა. კუტეზოვი უყვიროდა მათ და მუზიკა კიდევ უფრო ძლიერ უკრავდა.

გავიდა ნახევარი საათი. ექიმმა გამოაცხადა, რომ დასჯილნი დიდი ხნის გარდაცვლილი არიან. მათი დასაფლავება მიანდვეს პოლიცმეისტერს-პოლკოვნიკ დერშაუს...ისენი დაასაფლავეს მეორე ღამეს სმოლენსკის სასაფლაოს ახლო შესახვევის ბოლოში, სომეხთა სასაფლაოს მახლობლად.

დეკაბრისტების სამარეს 4 თვის განმავლობაში დარაჯები უდგენ.

სასჯელის რამოდენიმე დღის წინათ ცარსკოე სელოში მყოფ იმპერატორს კუტუზოვი გოლენიშჩინი შემდეგ ნაირ მოხსენებას უკეთებდა:

„ეკზეკუცია დასრულდა შესაფერი სიჩუმით და წესით. როგორც ჯარის მხრით, ისე ხალხისა, რომელიც არ

აქ უმარხია მას, ამ ქვეყნათ რაც კაცს ახარებს,
მომავლის რწმენაც ბედმა მისი დაასამარა!.

— —

დიდხანს სტიროდა ცივ საფლავთან დაჩოქებული.
მიწას აოხრობდა გულ ამოსკვნილ ცრემლისა ღვარი
ვინ შევიბრალო: ადრე საფლავს ჩასვენებული?
თუ ეგ ცოცხალი, ვინაც მკვდარზე საბრალო არი.?

ხაფო მგელაძე.

ქართველ ქალთა სწორუფლიანობა და ეროვნული სკოლა.

რა უნდა იყოს, ისე საჭირო ადამიანის განვითარებისათვის, როგორც მშობლიურ ენაზე ცოდნის შეძენა? იმ ენაზე, რომელზედაც გამოგვითქვამს პირველი სიხარული და პირველი წყენა!

მაგრამ ჩვენ ქალებისათვის გარდა ამ ეროვნული იარაღის შეძენისა კიდევ ერთი საკითხი დგება: როგორი და რა მიმართულებისა იქნება ჩვენი სკოლები? იქნება ის განახლებული შინაარსით, თუ მარტო მით, რომ იქ ჩვენი შვილები უცხო ენის მაგივრად ქართულს ენაზე შეისწავლიან სავალდებულო საგნებს?

ჩვენთვის დიდათ საინტერესოა რა დამოკიდებულობა ექნება ეროვნულ სკოლას ქალთა სწორუფლიანობასთან? და ამ ხრივ მანდამაინც დიდ სანუგეშო ნიშნებს ვერასა ვხედავთ.

ალაგ ალაგ ჩვენში შემოიღეს საშუალო შერეული სკოლები, მაშინ როდესაც ამავე ტიპის პირველ დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სკოლების შემოსავლებათ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა.

საშუალო სასწავლებელში და პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უკვე მოზრდილს ბავშებს უხვდებათ შესვლა, მათი ერთად სწავლა, ძველებურ პროგრამით თუ არ გაამწვავებს ანტაგონიზმს ორთავე სქესის მოწაფეთა შორის, არავითარ შემათვისებელს გავლენას არ მოახდენს მათზე.

ამასწინათ ერთს ნაცნობ ოჯახში პატარა ბიჭუნას კამათს წავაწყდი: „როგორ შეიძლება ქალისა და ვაჟის გათანასწორება! ქალი ყველაფერში დაბლა სდგას ვაჟზე! ჩვენ მათ ვაჩვენებთ თანასწორობას“. დამუქრებით ამბობდა ბავში. მისმა ლაპარაკმა მით უფრო გამაკვირვა, რომ ის იზრდება გონიერი ქვრივი დედის და დების ხელში.

—როგორ? საიდან შეითვისა ამ ბავშსა, ასეთი უცნაური აზრები ქალზე, ვიკითხე გაკვირებულმა.

—ამხანაგებმა, კარგმა ამხანაგებმა შეასწავლეს მიპასუხეს დებმა.

—მასწავლებელი რას გელაპარაკებათ ქალთა საკითხზე, დავეკითხე ბავშს.—„არაფერსაც არ გველაპარაკება, როცა ჩვენ დავეკითხეთ მას, შეიძლება თუ არა ქალვაჟთა სწორუფლიანობა, მას სიცილი აუარდა“, მიპასუხა ბავშმა. ასეთი პასუხი ერთობ ახასიათებს ჩვენს დღევინდელს პედაგოგებს, რომელთ უმრავლესობა ამა, თუ იმ სოციალისტური პარტიის წევრებია.

და ისეთი ოჯახის შვილი, როგორც ზემო აღნიშნული მოწაფეა, თუ ასეთი მტრული აზრითაა გამსჭვალული ქალთა სწორუფლიანობისადმი, რაღა იქნებიან ის ბავშები, რომელიც უფრო ცუდ პირობებში იზრდებიან და რომლებიც ასე მრავლათ მოიპოვება ქ. ქუთაისში?!

მომავალი ქართველი ქალის ადამიანური პიროვნების ამაღლებას, რომ დღევანდელი ჩვენი პედაგოგთა უმრავლესობა ხელს შეუწყობდეს, ამაში ჩვენ ვეჭვობთ. და სანამ მათი პსიხოლოგია არ შეიცვლება და პედაგოგიური სფერიდან არ განიდევნება ის მოთხრობები, რომელიც ქალის ადამიანურს პიროვნებას ამცირებს და შეურაცყოფს, მანამ ჩვენი სკოლები ვერც სულით თავისუფალ მოქალაქეთა აღზრდას შესძლებენ. ათასი კრიტიკა, რომ გაუკეთოს მასწავლებელმა გოგოლის მოთხრობას „ტარას ბულბას“. ბავშის ტვინში ყოველთვის დარჩება ის შთაბეჭდილობა, რომ დედაკაცის, როგორც ასეთის დაჩაგვრა და დამცირება შესაძლებელია. თუ სხვა არაფრით არ შეეძლება მას ამ აზრის გამოტანა, მხოლოდ იმ ჩუმი მოთმენის და სისაწყლის წარმოდგენით, რომელსაც იტანდა ტარასის მეუღლე თავის ქმრისაგან. აღვნიშნავთ რა განახლებულ სკოლებისათვის შეუფერებელს, ანტი პედაგოგიურ თვისებებს მოვითხოვთ. როგორც მშობლების ისე მასწავლებლებთაგან უმთავრესი ყურადღება აღზდის მხრივ ექცეოდეს ოჯახში და სკოლაში მოსწავლეთა შორს ქალვაჟთა სწორუფლიანობის შეგნებს.

ამ მოვალეობის შესრულებას მომავალი თაობის წინაშე, დღეს ყველაზე მეტად დედებმა და მასწავლებელ ქალებმა უნდა შეუდგენ.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

მე აქ არ გამოუდგები ყველა იმ სიმხეცის აღწერას, რაც ხდებოდა პარიზის ქუჩებში სხვა და სხვა რევოლიუციის დროს. ვიტყვი მხოლოდ, რომ „ძმობა-ერთობისა და თავისუფლების მქადაგებელნი თვითვე გახდენ უსასტიკეს ტირანებათ, რომელთ წყალობით ბრალიანი და უბრალო ასობით იგზავნებოდა გილიონტინაზე.

ჰო, რა სასტიკი იყო თქვენი ბედი, რომლებსაც კაცმოყვარეობისა და ჭეშმარიტების მაძიებელთ შეგასვათ ამდენი სისხლი, გულმტკივნეულად ამბობდა ჟორესი, დიდი რევოლიუციის გმირებზე *).

ბრბოს სიმხეცეს ხომ მთლად საზღვარი არა ჰქონდა. მათ გაამართლეს ლათინური ანდაზა, რომელიც ამბობს „homos humini lupus“.

მაგალითისათვის მოვიყვან შემთხვევას პრინცესა ლამბალისას.

— თქვენი სახელი? ეკითხება მას რევოლიუციონური მსაჯული.

— მარიამ ლუიზა, პრინცესა სავოიისა.

— თქვენი წოდება?

— ჰობერ გოფმეისტერი მეფის სასახლისა.

— რა იცით სასახლის შეთქმულობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 აგვისტოს?.

— არსებობდა თუ არა ეგ შეთქმულობა, მე არ ვიცი, მაგრამ მე ვიცი მხოლოდ, რომ არავითარი წარმოდგენა არა მქონია მაზე.

— მიიღეთ ფიცი თავისუფლების ერთობის და ძმობის წინაშე, რომ თქვენ გეზიზღებათ დედოფალი, მეფე და მისი მმართველობა, უთხრა თავმჯდომარემ.

— მე თავს ვიხრი პირველის წინაშე, მაგრამ მე არ შემიძლია შემოგფიცოთ მეორეზე, რადგან ეს იქნება წინააღმდეგი ჩემი რწმენისა.

— გაანთავისუფლეთ ქალბატონი, სიმვოლიურად გამოაცხადა მსაჯულმა, რაიც ნიშნავდა მის სასიკვდილოთ წაყვანას.

ეს საბრალო ქალი ჯერ ერთმა იქვე მდგარმა „რაინდმა“ ხმლით თვალზევით დასჭრა, შემდეგ გულშეწუხებულს მოკიდეს აქეთ-იქით მკლავში ხელი და ქუჩ-ქუჩა მკვდრებზე ატარეს. ამ სურათის დანახვაზე ერთი ვიღაც დაიყვირებს:

— „გაწითლდით სირცხვილისაგან უბედურნო, მოიგონეთ, რომ თქვენცა გყავთ დედები და დები!“ ერთი წუთის შემდეგ ბრბომ ეს კაცი ლუკმა ლუკმა აქცია.

როცა ტარებით მოღალდენ ამ ქალს თავი მოსჭრეს და სანამ ტანს სისხლი სდიოდა სიცილ-ხარხარით ამ სისხლში ხელის ბანა დაიწყეს. შემდეგ ამოჭრეს ძუძუები, გაუჭრეს მუცელი, ამოიღეს წელები, რომელიც ერთმა მათგანმა ყელზე შემოიხვია, მეორემ გული ამოსჭრა და უკბინა *).

თუ რა სასტიკათ მოექცა ფრანგი ბურჟუა დამარცხებულ კომუნარებს ამას უკანასკნელის ისტორია გვაუწყებს. ციხეები ავსებული იყო სხვა და სხვა წრის ქალებით, რომლებსაც გაუპატიურების შემდეგ გილიოტინზე აგზავნიდენ. საერთო არეულობით ქალი და ვაჟი რევოლიუციონურმა ნევროზმა იმ ზომამდე გაიტაცა, რომ სრულიად გაამხეცა. რევოლიუცია, რომელიც ასეთ ბარბაროსულს ფორმებს ღებულობს, წარმომშობია უფრო მეტი რეგრესისა, ვიდრე პროგრესისა. და გამოვიდა თუ არა საფრანგეთის მესამე წოდება გამარჯვებული, ამდენი სისხლის ღვრიდან მას ყოველი სულიერი იდეალი შემოეცალა. და თავის უმაღლეს მიზნათ ოქრო და ვნებით ტკბილობა დაისახა. რევოლიუციის დროს შურისძიების სადიზმი პარიზელებისა, მშვიდობიან დროს საავხორცო სადიზმათ იქცა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ ქალთა ემანსიპაციის ნაცვლად პროსტიტუციის ემანსიპაცია აღიარა და განამტკიცა. ამ გვარად რევოლიუციის დროს გაღვიძებული მხეცური ინსტიქტი მშვიდობიან დროს ლირწებათ გადაიქცა, რომელმაც ფუფუნება სილატაკის ზრდასთან ერთად გამოიწვია ის უცნაური ექსცესები, რომლითაც ეგრე მდიდარია პარიზი და რომელსაც ამ მხრივ სამართლიანათ თანამედროვე ბაბილონს ეძახიან. ამ ნიადაგზე იქ პირველად თავს ამოყოფს მთვრალი მუზა დეკადენტებისა და ხელოვნებაში და პოეზიაში ნათელი წმინდა აზრის ნაცვლად შეიტანეს ბოდვა ტლანქი ეროტიული სიზრმებისა. და რამდენათ „მოქალაქისა და ადამიანის უფლების“ დამცველნი სხვა პოლიტიკურად დაჩაგრულ ქვეყნებისათვის ტონის მიმცემი გახდენ, იმდენათ ყველაფერში მიბაძეს პარიზელებს

იყო მრავლად.

ჩვენი ჯალათთა გამოუცდელობით სახრჩობელადან ჩამოვარდა: რელეევი, კახოვსკოი და მურავიოვი, მაგრამ მალე ისევ ჩამოკიდეს და მიიღეს დამსახურებული სიკვდილი, რასაც თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ“.

იმპერატორი იმ დღესვე დაბრუნდა პეტერბურგში და მეორე დღეს სენატის მოედანზე გადახდილი იყო ხადღესასწაულო პარაკლისი...

პეტერბურგიდან გამოსულ განკარგულებით დეკაბრისტების დასჯისა გამო მთელ რუსეთში გადახდილი იქმნა პარაკლისი. ასეთი პარაკლისი გადაიხადეს მოსკოვშიაც.

„14 წლის ყმაწვილი ვიყავ, როცა ბრბოში დაკარგულმა დავესწარი ამ პარაკლისს,—სწერდა ერთი თანამედროვეთაგანი,—და იქვე ტაძრის წინაშე, რომელიც შებილწული იყო სისხლიანი ლოცვით ფიცსა ვდებდი, რომ შური მეძია დასჯილთა მაგიერ და მებრძოლა წინაღმდეგ ამ ტახტისა, ამ ტაძრისა და ზარბაზნებისა“.

ყმაწვილი, რომლის ბავშური სული სრულიად გამოაფხიზლა დეკაბრისტების დასჯამ იყო გერცენი.

პარაკლისის დაწყების წინათ პეტერბურგის სენატის მოედანზე წაკითხული იყო შემდეგი ბრძანება:

„მამაცო ჯარო რუსეთისაო!

როცა დაუვიწყარ 14 დეკემბრის 1825 წ. და 3 იანვრის 1826 წ. დღეებში თქვენი ერთგული მკერდით დაიფარეთ ტახტი, წმინდა მართლმადიდებელი სარწმუნოება და განათავისუფლეთ სამშობლო აჯანყების საშიშროებიდან, მე თქვენ გაუწყეთ, რომ ზოგიერთი შეთქმულები ბოროტი აზრით იმალებოდენ თქვენი ერთგული რიგთა შორის და თქვენ აღშფოთებით გამოაგდეთ ისინი. დღეს მათი გასამართლება და სასჯელი სისრულეში მოყვანილია და გაწმენდილია ჩვენი ერთგული ჯარი და მთელი რუსეთი მათი შხამიდან.

ამ გვარად ღვთის შეწევნით დღეს იმ ადგილზე, სადაც თქვენ შვიდი თვის განმავლობაში არ ზოგავდით თქვენ სიცოცხლეს და სწირავდით თქვენს სისხლსა და ბედნიერებას ჩვენს ხელმწიფეს, იმ ადგილზე, სადაც თქვენ წინ დაეცა დაუვიწყარი რუსეთის არმიისათვის გრაფი მილორადოვიჩი, იმ ადგილზე დღეს მოტანილია მსხვერპლი ღვთისადმი, რომელმაც თქვენ მიერ დაიფარა სახელმწიფო. და ლოცვა უფლისადმი რათა მიანიჭოს მან განსვენება სარწმუნოებისათვის მსხვერპლათ შეწირულთა სულს და სიმშვიდე მეფესა და სამშობლოს.

გაუწყებთ რა ყველა ამას მამაცო რუსეთის ჯარო, მთელი რუსეთის სახელით გიცხადებთ მადლობას და და მოგიწოდებთ შეინარჩუნოთ მარად სიმამაცე, რომლითაც თქვენ ყოველთვის განსხვავდებოდით: თბილი რწმენა ღვთისადმი, ერთგულობა ტახტისადმი, სიგმირე და დაუძლეველობა, დე თითეულმა თქვენგანმა იგრძნოს, რომ მასთან არის უფალი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ისტორია სოციალიზმისა“ ჟ. ჟ.

*) იხ. g. Berlin „madame de Lamballe“.

და მათი ცუდი და კარგი თვისებები სხვა ქვეყნებშიაც გადავიდა, რამაც ევროპიელ ქალთა მოძრაობას, თუ უფრო ხელი არ შეუწყო არაფრით არ შეუშალა.

მართალია, ფრანგ ქალებში არ ჩამქრალა სწორ-უფლიანობისადმი მისწრაფება, მათ აქვთ თავიანთი კავშირები და სხვა. მაგრამ ინგლისელ, ამერიკელ ქალებთან შედარებით ისენი დღესაც ერთობ მდაბლა სდგანან.

და ვინ იცის რა ცვლილებას შეიტანს მათ ცხოვრებაში დღევანდელი ევროპიული ომი, რომელმაც მათ ამდენი მწუხარება მიაყენა.

სულ სხვაა მდგომარეობა ამერიკელ ქალისა. სამშობლოდან დევნილი ევროპიელი ემიგრანტები მომეტებულ წილათ ინგლისელები, აქ ახალ ნიადაგზე აჩაღებენ ცხოვრებას. მხოლოდ რამდენადაც სრულიად ვერ განთავისუფლდენ ისენი ძველი სამშობლოს გავლენიდან. ჩრდილოამერიკელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სარძიკვლად ინგლისელი ადათური სამართალი დაედვა და ქალი აქაც პოლიტიკურ უფლების გარედ დარჩა. სამაგიეროთ აქ სოციალური მდგომარეობა დედაკაცებისა გაცილებით მამაკაცებზე მაღლა იდგა. ცოლი ოჯახში და საზოგადოთ ქალი, საზოგადოებაში ამერიკაში წარმოადგენს ისეთს პატივსაცემ არსებას, რომლის წინაშე მამაკაცი ერთობ თავაზიანათ უნდა იქცეოდეს, ოჯახშია ქალი, ქუჩაში, შეკრებილობაში, თუ მატარებელში მას იქაური მამაკაცები უკეთეს ადგილს უთმობენ. ამერიკელი ქმრის მოვალეობას შეადგენს მოაწყოს ოჯახური ცხოვრება თავის ცოლის სურვილისამებრ და არა თავის ნებისამებრ, როგორც ეს მიღებულია ევროპაში და აზიაში. ამერიკელი ქალში თავის თანასწორ პიროვნებასა ხედავს, რომელსაც ესაუბრება არა ქათინაურებით, როგორც ეს სჩვევიათ ევროპიელთ, არამედ დიდი მორიდებული კილოთი. შეურაცყოფილ ქალიშვილებს იქ ესარჩლება, როგორც საზოგადოება ისე სამართალი. მას შეუძლია მოსთხოვოს მაცდუნებელს არა მარტო სარჩო თავის ბავშვისათვის, არამედ გადაახდევინოს შეძლებისადაგვარი ჯარიმა, თვით ჯვარის წერის დაპირების დარღვევისათვის. *) მაგრამ ასეთი მაღალი სოციალური მდგომარეობით ამერიკელი ქალები სრულიად არ შერიგებიან პოლიტიკურ უუფლებობას. ჯერ კიდევ 1776 წ., როცა კონტინენტალურს კონგრესს კონსტიტუციის შესახებ თათბირი ჰქონდა, შეერთებული შტატების პირველს პრეზიდენტს თავისი ცოლი შემდეგი შინაარსის წერილსა სწერდა: „თუ რომ მომავალი კონსტიტუცია ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს ქალთა უფლებრივ საკითხს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ არეულობა და არავითარ ვალდებულად არ გავხდით თავს დავემორჩილოთ იმ კანონებს, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ დაიცავსო“ *). და მათ გაამართლეს კიდეც ეს მუქარა მით, რომ შექმნეს ისეთი დიდი მოძრაობა, რომლის წინაშე ქალთა უფლების მტრებს თავი უნდა მოეხარათ. დღეს მათვის ხელმისაწდომია, როგორც ყოველგვარი სწავლა-განათლება, ისე ყოველგვარი თანამდებობა. იქ არსებობს საყოველთაო ქალ-ვაჟთა პირველ დაწყებითი სკოლა. იქ შეხვდებით სხვა და სხვა თანამდებობის ქალებს, მასწავლებელთ, ექიმთ, ვექილთ, მსაჯულთ, პრაფესორებს, მღვდლებს, უნივერსიტეტის რექტორებს, ბანკის დირექტორებს და მრავალ სამრეწველო ფირმათა გამგეთ. „ერთი ამერიკელის გამოკვლევით, ამბობს ელიზა იხენგეიზერი, მთელი ამერიკის მილიონების ერთი მეათედი ქალების ხელშია“.

ამერიკელი ქალები დღემდე კიდევ განაგრძობენ ბრძოლას აქტიური და პასიური ხმის მიღებისათვის და ზოგიერთ შტატებში მიიღეს კიდეც, რომლის საყოველთაო მიღებისათვის ისენი თავგამოდებით იბრძვიან. ამ მიზნით მათ აქვთ ურიცხვი კავშირები და პროფესიონალური ორგანიზაციები, მრავალი ჟურნალ-გაზეთები, საკუთარი ფაბრიკები აგებული კოოპერატიულ პრინციპზე და სხვა.

ქალები შედიან მამაკაც მუშათა პროფესიონალურ კავშირებში და სადაც ასეთი კავშირები აქვთ მუშა ქალ-ვაჟს თავის დევიზად აცხადებენ: „ერთნაირი შრომა და ერთნაირი ხელფასი“. ასეთ კავშირთა წევრებს შრომის რაინდებს ეძახიან, რომლებიც მოითხოვენ ქალ-ვაჟთა თანასწორობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ჩვენ არ გამოუდგებით ინგლისელ ქალთა მოძრაობის აღწერას, რადგან მათ შესახებ უკვე რამოდენიმე წერილები იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

თუ ასეთს წინაალმდეგობას ხვდებოდა ქალთა მოძრაობა ევროპა-ამერიკაში სულ სხვა ბედი ეწვია მას ახალ ზელანდიაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

ჟურნალ გაზეთებიდან.

სარატოვიდან იუწყებიან, რომ პოკროვსკაში სასოფლო ყრილობაზე გლეხმა შავგერმა მოითხოვა ნება რთვა, რომ მოეკლა მას ის კაცი, რომელმაც გააუპატიურა მისი ქალიშვილი. ყრილობამ ერთხმათ თანხმობა გამოუცხადა მას.

კომისარმა პროტესტი გამოაცხადა მოაგონა მათ კანონები, მაგრამ ყრილობა შეურყეველი დარჩა და აღიარა რომ ასეთი დასჯა ერთად ერთი საშუალებაა სიავის ძირიანად ამოსაღებათ,-

ეკლესია და მიტინგები

ვენდენში ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ეკლესიები სამიტინგოთ დაიკავეს. მრევლი ერთობ გაბრაზებულია. მოსალოდნელია სერიოზნული შეტაკება.

რომანოვები ტობოლსკში

ტობოლსკის კომისარი იუწყება, რომ ქალაქში შეიქმნა „აუტანელი მდგომარეობა“

სახლთან სადაც ცხოვრობენ რომანოვები, ხდება მანიფესტაციები, იყო საერთო სახალხო პარაკლისი სასახლესთან, სადაც ხალხი დაჩოქილი ლოცულობდა და ძველ ჰიმნსა მღეროდა.

მახლობელ სოფლებიდან და მრავალ ქალაქებიდან ჩამოდის ყრუ ხალხი.

კომისარი იუწყება, რომ მცველნი რომანოვების ბინისა არ არიან საიმედო და მოუწოდებს მთავრობას დაუყონებლივ გარდაყვანილნი იქმნას რომანოვები ნაკლებ დასახლებულ ადგილზე:

6 დ. აქსენტევის პარტიიდან გავლა

როგორც იუწყებიან აქსენტევი ს. რ. ფრაქციიდან გამოდის. რომ შეინარჩუნოს თავისუფალი მოქმედება და იმყოფებოდეს დამოუკიდებელი ფრაქციის დისციპლიდან. მისი ადგილი ფრაქციაში გადაეცა გოცს, მას შემდეგ რაც აქსენტევი პარლამენტის თავმჯდომარეთ აირჩიეს.

ახალი ამბავი.

შემდეგი №-რი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოვა ორშაბათობით.

ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის **აღმასრულებელი ბიურო** მოუწოდებს კლუბის წევრებს, რომ თავი მოიყარონ ყოველ კვირას საღამოს 6 საათზე ქალაქის სამკითხველოში.

ლექცია.

კვირას 22 ამ თვეს საღამოს 6 საათზე **კატო მიქელაძე** წაიკითხავს **ლექციას ქალაქის სამკითხველოში** სათაურით„ მნიშვნელობა ქალთა კავშირებისა.“

— **საგუბერნიო კომიტეტში.** დღეს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ქუთ. საგ. აღმ. კომიტეტის კრება.

— **ერობა.** რამდენიმე კვირის შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში ერობას შემოიღებენ.

— **დ. ქებაძის საპნის ქარხანა.** ქალაქის სანიტარულმა ექიმმა ქალაქის თვითმართველობას წინადადება მისცა რომ დ. ქებაძის საპნის ქარხანა, რომელიც მოთავსებულია წითელ ხიდთან გადატანილი იქნეს ქალაქ გარეთ.

— **დამფუძნებელი კრება.** დამფუძნებელი კრებისათვის სიების შედგენა და შესწორება უნდა დასრულდეს 20 ოქტომბერისათვის.

— **ციხის გარშემო.** ქუთაისის ციხის კომისრობის თანამდებობა გაუქმებულ იქმნა.

— **სანოვაგე.** ამ დღეებში ქუთაისში მოვა 35 ვაგონი პურის ფქვილი. 20 ვაგონი სათესი ხორბალი და სხვა სანოვაგე.

სიტყვა თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ ქ. თბილისში საკათალიკოსო კრებაზე 15 სექტემბერ 1917 წ.

უზენაესი განგებისაგან ჩვენს სარწმუნოებაში უდიდესი დანიშნულება აქვს ქალს.

ღვთის მშობელი ქალი იყო. ხოლო, როდესაც პატარა იყო ეს ქალი მისმა მშობლებმა ტაძრად მიიყვანეს და იქ კი ეს პატარა მარიამი მღვდელმთავარმა შეიყვანა წმინდათა-წმინდაში, სადაც გარდა სასულიერო პირებისა იმ დროში თვით მამა კაცსაც აღკრძალული ჰქონდათ შესვლა.

ღვთისმშობლის ესეთი ამბავი სწამს მთელს საქრისტიანოს, მაგრამ ჩვენ ქართველებს კიდევ გვწამს ის თქმულებაც, რომ თვით ჩვენი ქვეყანა სწორედ ამავ ღვთისმშობლის წილხვდომილია.

და მართალია ღვთის მშობელმა მისდა მაგიერათ წარმოგზავნა ანდრია მოციქული აფხაზეთისა და საქართველოს გასაქრისტიანებლად, მაგრამ როგორც გადმოცემა გვეუბნება და ჩვენცა გვწამს, სრული ჩვენი განმანათლებელი იყო მოციქულთა სწორი ნინო კაპადოკიის ქვეყნიდან, რომელმაც გაიგო თუ არა რომ სადღაც მდებარეობს კეკლუცი ქვეყანა ივერიისა, ღვთის-მშობლის წილ-ხვდომილიო, გამოეშურა ჩვენსკენ.

ქართული მატიანე კი, მოგეხსენებათ, აღსავსეა ქართველ ქალთა ღვაწლთა აღწერით სარწმუნოების საქმეში. ქართველი ქალი პირველი დამცველი იყო ქრისტეს რჯულისა. იგი აშენებდა ეკლესიას, მონასტრებს ასწავლიდა ყრმებს და უნერგავდა ქრისტეს სარწმუნოებას და ძალიან ხშირად ამ სარწმუნოებისათვის მიიღებდა კიდეც მოწამეობის გვირგვინს. იმას ხომ აღარ უნდა მტკიცება, რომ ქართველი ქალი უღრმესი მცოდნე იყო საღმრთო რჯულისა.

უახლოეს დროში მე თვითონ მახსოვს ჩემი მახლობელი პირი, განსვენებული ბებია ჩემი მარიამ აბაშიძის ქალი, რომელმაც ისე კარგად იცოდა ტიბიკონი, რომ ღვთის მსახურების დროს თვით მღვდლებსაც ეკრძალებოდათ მისი რომ არა შეშლოდათ—რა.

ამ გვარათ ქალის დანიშნულება სარწმუნოების საქმეში მრავალმხრივია და ისტორიულ ფაქტებითაც განმტკიცებული.

დღეს კი თვით ეხლანდელი რევოლიუციაც, რომ არ მომხდარიყო და სხვათა შორის მას ქალთა გათანასწორების ლოზუნგიც არ გამოეტანა, სჯული ქრისტესი გვასწავლიდა ამას. ამისათვის ქალები უსათუოდ მოვითხოვთ სარწმუნოების საქმეში, სასულიერო უწყებაში სათანადო ადგილის დაჭერას და მე პირადათ როგორც სოხუმელ ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე უსათუოდ ვიცავ გათანასწორების პრინციპს და მოვითხოვ, რომ სასულიერო უწყებაში ქალებს მიენიჭოს არამც თუ მარტო მედავითნეობა, არამედ მიეცეთ უფლება ეკლესიაში ქადაგებისა და საზოგადოთ სამისიონერო მოვალეობათ აღსრულებისა, მხოლოდ, როგორც მორწმუნე ქალს ტრადიციით შეუძლებლად მიმაჩნია ქალი ეკურთხოს მღვდლათ, ან ხელდასხმული იქმნეს მღვდელმთავრად და საზოგადოთ აღასრულოს ღვთის მსახურება, რადგან დღევანდელი ჩვენი რწმენის მიხედვით მღვდელი და მღვდელმთავარნი არიან ქრისტესა და მოციქულების მაგიერნი და მამაკაცთ უფრო შეჰფერისთ მათი მოადგილეობა*)

---

*) იხ. „Соврем. положеніе женщинъ въ Европѣ и Америкѣ“ Б. Бринтъ.

*) „Женскій вопрос“, Д. Браунъ.

*) საეკლესიო კრებულმა ეს სიტყვა დიდის ყურადღებით მოისმინა და დაადასტურა. ამავე საგანზე ილაპარაკა ალავერდის ეპარქიის ქალთა წარმომადგენელმა ალ. გიურჯიძე—ციციშვილისამ.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ. სახლი გოკიელოვისა.